# დროება

№ 38 ხუთშაბათი, 18 თებერვალი 1910 წ. № 38

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს უკან არ ინახება ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ერთხელ გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი განქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЕБА“.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



კირილე ანდრიას ძე და ნინო მათეს ასული, თამარ და მიხეილ კირილეს ასული და ძე ჯაჭვაძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველნი—საყვარელი შვილის ხოლო მეორენი—ძვირფასი დის

თეკლე კირილეს ასულის ჯაჭვაძისას.

გამოსვენება სახ. ბინიდან დღეს 18 თებერვალ წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში, სადაც გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. (1—6.—1)

ქვრივი ალექსანდრა ივანეს ასული და ძმა გიორგი სპირიდონის მე გუგუშვილნი აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 21 თებერვალს,

ნესტორ სპირიდონის ძის გუგუშვილის

გარდაცვალების წლის თავზე, სოფელ ეწერში (სენაკის მაზრა) წმ. გიორგის ეკკლესიაში წირვის შემდეგ განსვენებულის საფლავზე გადახდილი იქნება პანაშვიდი. (1—კვ.—1)

წარმოდგენა № 36. ქართული თეატრი წარმოდგენა № 36.

ხუთშაბათს, 18 თებერვალს, 1910 წელს

ბენეფისი ი. ფ. ზარდალიშვილისა

ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე ზ. დოსტოევსკის

დანაშაული და სასჯელი

დრამა 5 მოქმედებად და 8 სურ. შ. დადიანისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი მ. მდივანი ბ. ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი, ბ. შოთაძე; ბ-ნნი ვ. ანდრონიკაშვილი, ი. გრიშაშვილი, გ. გედევანოვი, ნ. გვარამაძე, ზარდალიშვილი, იმხნელი, მურვანიშვილი, მგალობლიშვილი, კ. მესხი, ვ. მატარაძე, ი. ყიფიანი, შ. საფაროვი.

ადგილების ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

21 თებერვალს ბენეფისი ვლ. ალექსი-მესხიშვილისა წარმ. იქ. „შავი ბერი“.

რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი. რეჟის. თანაშემწე ვ. ურუშაძე.

დრამ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შ-ბი ქუთაისში

ამით აცხადებს, რომ მათ მიიღეს განსაკუთრებითი უფლება გაყიდვის რამდენიმე წლით საუკეთესო ხარისხის ცნობილი ფირმის ხ. ს. ხრისტოდულიდის აბრეშუმის თესლისა, მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მათ საკუთარ სავაჭროში ქუთაისში. რადგანაც თესლი შემზადებულია საგანგებოთ ქუთაისის გუბერნიის ჰავაზე, ამიტომ მყიდველთ უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება კოლოფზე ქართულ ნაწერს და ბეჭედს სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილებისას. (45—151—8)

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.- და პარას. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

მალალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი გ. ს. თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი ბ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

რცხილაძე. ნ. კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

სობოლევსკი გ. გ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—6.—112)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.

ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—274)

ისე ძნელი არ არის გაარჩიოთ

კარგი პაპიროსები ცუდისაგან, როგორც ეს გვეჩვენება. გთხოვთ მხოლოდ შინჯოთ პაპიროსები ახალ თამბაქოს ფაბრიკის სავ. სახ. „ძმ. სეილანოვების“

ზეფირი 25 ც. 15 კაპ. და 10 ც. 6 კაპ.

ვოსხოდი 10 ცალი 5 კაპ.

მარსი 20 ცალი 5 კაპ.

◀ რომ დარწმუნდეთ რომ ეს პა-
◀ პიროსები ყველა ცნობილ
◀ პაპიროსებს სჯობია.

სათუთუნო ფაბ. სავ. სახ. „ძმები სეილანოვები“. (15—ტ.—5)

ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, შარდის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (ქარხანა). (25—კვ.—25)

ექიმი შ. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაზგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—28)

სპეციალისტი ექიმი ქუთაისში ჩარექოვი

იღებს განსაკუთრებით სიფილისიან, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა). აბულაძის შესახვევი, იღხელიანის სახლი, დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფ.—18

ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბღრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—370)

ექიმი გ. მაგაკიანი შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—6 ს, მიხეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—99)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—6.—103)

ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოხე ქიქოძის სახლი. (0—უ.—119)

ექიმი კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა

იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში. ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (50—6.—19)

ექიმი მ. დ. ბეთანოვი ქუთაისში,

მიიღებს სიფილისით, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფებს დილით 9—11 ს., საღამოთი 5—8 ს. აფთიაქის და კლუბის ქ. კუთხე, N 24/2. (25—ფ.—20)

ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. $5^1/_2$—$6^1/_2$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს $6^1/_2$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჰლექიანებისა, ელექტროტერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—კვ.—5)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

რიდელი—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

ბოგოვსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

ჩუდნოვსკი—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

ერმოლაევი—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

ნოვიცკი—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2.

აბულადიანი—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—$12^1/_2$ საათ.

კალამქაროვი—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირის გარდა 4—5 საათ.

ბალდინა-ნოვიცკაია—ცხვ. ყელ. ყურის. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

ასპიროვი—ცხვ., ყელ., ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—6.—7)

ექიმი ა ნ. დიასამიძე განისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)


## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ამ ორი დღის წინად ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა შინაგან საქმეთა მინისტრის სტოლიპინის ახალი ცირკულიარი, რომელმაც მკაცრი კრიტიკა გამოიწვია რუსეთის პროგრესიულ გაზეთებში. გაზეთმა „რეჩ“-მა რამდენიმე წერილი უძღვნა ამ ცირკულიარს. მეთაურის ავტორი ფორმალურ მხარესაც ანგარიშს უწევს და შენიშნავს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლება არა ჰქონ და ცირკულიარით მიემართა ისეთ დაწესებულებათათვის, რომელნიც მას სავსებით არ ექვემდებარებიან. ასეთი დაწესებულებაა საზოგადოებათა და კავშირთა საქმეების საგუბერნიო საკრებულო. ეს საკრებულო საუწყებათა შორისო დაწესებულებაა, იქ შედიან წარმომადგენელნი სასამართლოსი, ადგილობრივ თვით-მმართველობისა და ადმინისტრაციისა. შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუძლიან, როგორიც უნდა, ისეთი ინსტრუქციები მისცეს საკრებულოს თავის წარმომადგენლებს, მხოლოდ არ შეუძლიან სახელმძღვანელო დირექტივები მისცეს თვით საკრებულოს. მაგრამ ეს ფორმალური მხარეა.

მთავრობას ბევრჯელ უარ-უყვია კანონიერებაო, ამბობს გაზეთი, ბევრჯელ მხარი აუქცევია იმისთვის. ამ შემთხვევაშიაც ასე მოიქცა. მაშინ, როდესაც ველიკოროსებს, რიცხვით 65 მილიონს, უფლება აქვთ, როგორიც უნდათ, ისეთი კავშირი შეადგინონ თავიანთ კულტურულ და ეროვნულ განვითარებისათვის, 87 მილიონ არა-ველიკოროსს და არა-რუსს—უკრაინელებს, პოლონელებს, ქართველებს, სომხებს, ლატიშებს და სხვებს—უფლება ესპობათ დაიარსონ ასეთივე საზოგადოებანი. საშინელი მდგომარეობაა. საზოგადოებათა საკრებულომაც უნდა საიდუმლო აგენტურას მიმართოს და შეიტყოს, თუ რა მოტივები უძევს საფუძვლად ამა თუ იმ ერის კულტურულ საზოგადოებასაო.

„რეჩ“-ი სწერს:

ვსთქვათ, მართალია სამინისტრო, რომელიც ამბობს, რომ სენატმა „ოსვიატა“ და „პროსვიატა“ დახურა იმიტომ, რომ კულტურულ-განმანათლებელ მიზნის ნაცვლად, მათს მოქმედებაში პოლიტიკური მისწრაფება დაინახა. მაგრამ განა შეიძლება წინ და წინვე ეჭვის მიტანა ისეთს საზოგადოებაზე, რომელსაც საგნად კულტურული მისწრაფება აქვს დასახული და ჯერ კი მოქმედება არ დაუწყვია? განა საგუბერნიო საკრებულომ ასეთი საზოგადოება მხოლოდ თავის ეჭვების მიხედვით არ უნდა დაამტკიცოს? თუ ასე მოიქცევა, კანონიერების მაგიერ თვითნებობას ჩაიდენს და განსაკუთრებულ წესებს ნორმალურ წესებად აქცევს.

დიაღ, თვითნებობა იქნება. არა ერთ და ორ საზოგადოებისათვის უთქვამთ უარი, არა ერთი და ორი შუამდგომლობა დაუტოვებიათ უყურადღებოდ, მხოლოდ ეჭვების გამო, „რეჩ“-ი ამბობს:

რითი უნდა აიხსნას მთავრობის დღევანდელი პოლიტიკა არა-რუსთა სისტემატიურ დევნისა, ან კერძოდ რას ნიშნავს ეს ცირკულიარი, რომელიც სულის მობრუნებას და სიცოცხლეს უსპობს არა რუსებს? რითი უნდა აიხსნას მუდმივი ძახილი, რომ მპყრობელი ერი (ველიკორუსები), როგორც ბატონი, მხოლოდ მოწყალების გამო ითმენს არა რუსთა არსებობას, რომ არა-რუსთა და რუსებს შორის გაუვალი კედელია აღმართული და რომ ისინი განცალკევებულნი უნდა იყვნენ? ნუ თუ სამინისტრომ თავის ცირკულიარით არ უნდა მიმართოს თვით მთავრობას და უთხრას, რომ მისი პოლიტიკა საშიშია საზოგადოებრივ მშვიდობიანობისათვის.

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპ. სააგენტ.)

**ბიუჯეტი.**

16 თებერვლის სხდომაზე სათათბირომ განაგრძო ბიუჯეტის განხილვა. ბიუჯეტამდე სათათბირომ შეიწყნარა შეკითხვათა კომისიის თხოვნა—სასწრაფოდ არიქმნას ცნობილი შეკითხვა იმ მუშათა ორგანიზაციების დევნის შესახებ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ლოთობის წინააღმდეგ მებრძოლ კრებაში. კომისიას დავალებული ჰქონდა, ორი კვირის თუ ერთი თვის განმავლობაში წარედგინა მოხსენება ამ შეკითხვის შესახებ.

შემდეგ დაიწყო კამათი ბიუჯეტის შესახებ.

**ჩელიშევმა**, როგორც ყოველთვის, ლოთობაზე ილაპარაკა. იგი წინააღმდეგია არყის მონოპოლიისა, რომლის წყალობითაც მთავრობა ლოთობასავრცელებს. ხაზინას ამ მონოპოლიიდან 718 მილიონი მანეთი შემოსდის. აქედან 90 პროცენტს გლეხობა და მუშები იხდიან. ამასთან ლოთობა რუსეთის ცენტრში, შიდა გუბერნიებში უფრო გავრცელებული, აქ 5-6 ჯერ უფრო მეტი არაყი ისმევა, ვიდრე განაპირა ქვეყნებში. მთავრობა თითონ ავრცელებს ლოთობას, რადგან არა სურს შესცვალოს დღევანდელი საფინანსო სისტემა, რომელსაც საფუძვლად არყის მონოპოლია უდევს.

**ლვოვმა 1-ლმა** პასუხი გასცა ფინანსთა მინისტრსა, ისტორიის მოწმობით ვერ ჩააფუჩეჩებს მთავრობა ჩვენ კულტურულ ჩამორჩენას, რომლის მიზეზებიც უხეირო საფინანსო სისტემაში იმალებაო. ჩვენი ქვეყანა გაჭირვებაშია. სალ ნაციონალიზმის მაგიერ გვიმასპინძლდებიან მებრძოლ ნაციონალიზმით. ეს მებრძოლი ნაციონალიზმი ფეხს იკიდებს და მაგრდება ცენტრსა და მთავრობის შორის. ასეთ მთავრობას არ შეუძლიან ჩვენი ქვეყანა განკურნოს და გაჭირვებიდან გამოიყვანოს.

მომხსენებელმა **ალექსეენკომ** რეზიუმე გაუკეთა ორატორების ნალაპარაკევს და, სხვათა შორის, აღნიშნა, რომ კუტლერი მართალი იყო, როდესაც ამბობდა, სახელმწიფო ბანკის ხარჯთ-აღრიცხვაში 16 მილიონი მანეთი მოგება ორჯელ არის შეტანილიო, მაგრამ, თვითონ კუტლერის აზრით, შეიძლება გადიდდეს შაქრისა და სასმელების შემოსავალი და მაშინ შედეგი იგივე იქნება.

ამით გათავდა საზოგადო კამათი ბიუჯეტზე. სათათბირომ დაადგინა, შეუდგეს უწყებების ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას. მცირე კამათის შემდეგ კრებამ დაამტკიცა სათათბიროს ხარჯთ-აღრიცხვა. უკამათოდ მიიღო აგრეთვე აღრიცხვა მინისტრთა საბჭოს კანცელარიისა.

შემდეგ შეუდგნენ სინოდის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას. ხარჯთ-აღრიცხვით სინოდისთვის გადადებულია 34,195,217 მანეთი. საბიუჯეტო კომისიას ეს თანხა მხოლოდ 13,750 მანეთით შეუმცირებია. შარშანდელ ბიუჯეტის განხილვის დროს სათათბირომ მრავალი სურვილი გამოსთქვა და ეგონა, რომ სინოდი ყველაფერს შეასრულებდა, მაგრამ სინოდს, როგორც მომხსენებელმა კოვალევსკიმ განაცხადა, ერთი უმნიშვნელო სურვილის გარდა, არაფერი შეუსრულებია. ამას გარდა, სინოდს შარშან ხარჯთ-აღრიცხვის გარეშე ხაზინისა 2 ნახევ. მილიონი მანეთი დაუხარჯნია. მომხსენებელმა ისიც აღნიშნა, რომ სინოდის ანგარიშში ცნობები არეულ-დარეულია, საეკლესიო სკოლების რიცხვი მეტია ნაჩვენები, ვიდრე ნამდვილად არის, რისთვისაც მეტ ფულს იღებს ხაზინიდან სინოდი. მომხსენებელი საჭიროდ სცნობდა, სინოდმა სწორე ანგარიშები შეადგინოს ხოლმე. ამას გარდა, სათათბიროს უფლება უნდა ჰქონდეს ამ ანგარიშებს კანტროლი გაუწიოსო.

სინოდის ხარჯთ-აღრიცხვის გამო 38 ორატორი ჩაეწერა.

**კამენსკიმ** (ოქტომბრისტი) სთქვა: ოქტომბრისტთა ფრაქციამ არა ერთხელ აღნიშნა, რომ საეკლესიო საქმეები აწეწილია, რასაც შედეგად მოსდევს მღვდლისა და მრევლის ურთი-ერთობის გამწვავება. ფრაქცია საჭიროდ სცნობდა და სცნობს მრევლის რეფორმას და სამღვდელო პირთა სხვა რიგად დაჯილდოებას, რადგან ეხლანდელი წესი დაჯილდოებისა არ შეეფერება მღვდლის წოდებას. ამ სურვილების გამო ობერ-პროკურორმა შარშან სთქვა, რომ სინოდი ყველა მაგას მხედველობაში მიიღებსო, მაგრამ გადის დრო და დღემდე ამ საქმეში არაფერი გაკეთებულა. ამას გარდა ზოგიერთი ეპისკოპოსები ძალიან უდიერად ეპყრობიან მღვდლებს, სტაროსტებს და მრევლს. ორატორმა მოიყვანა წერილი თურქესტანის ეპისკოპოსის დიმიტრისა, რომელიც მეტად შეუფერებელის სიტყვებით იხსენიებს სტაროსტებს და მრევლს.

**ეპისკოპოსი მიტროფანე** თავის სიტყვაში იცავდა სინოდს. სახელმწიფო სრულებით არ უნდა ერეოდეს საეკლესიო უწყების საქმეებშიო. ეკლესია მუდამ მუშაობდა ხალხის კეთილდღეობისათვის, სახელმწიფო კიდევ ეკკლესიას ეხმარებოდა. ამით განმტკიცდა კავშირი ეკკლესიასა და სახელმწიფოს შორის. ეხლა სხვანაირად იქცევიან: უნდათ ჩაერივნენ ეკკლესიის შინაურ საქმეებში, ანგარიში გაუწიონ ფულის ხარჯვას. ეკკლესია ამას ვერ დაეთანხმება. საეკკლესიო ფული და ქონება გარეშეთაგან ხელ-უხლებელი უნდა იყოს; კათოლიკეები, სომხები, ლიუტერანები ანგარიშს არ უწევენ მთავრობას და რაღა სინოდის კანტროლი განიზრახეს, სინოდის ფული და ქონება კერძო საკუთრებაა და სახელმწიფოს არ შეუძლიან ჩაერიოს ანგარიშებში.

სხდომა ამით დამთავრდა.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 თებერვალი.

**საზღვარ-გარედ.**

**ნიუ-იორკი.** ვალასის ახლო ზვავის ქვეშ მოჰყვა სოფელი ბეზი, სადაც სამასი სამთა-მადნო მუშა სცხოვრობდა. ნამქერი ხელს უშლის მუშაობას, რომ ზვავ ქვეშ მოყოლილი მუშები გადაარჩინონ.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატა. პრემიერ-მინისტრმა ასკვიტმა განაცხადა: ბიუჯეტის შემდეგ სამინისტრო პალატას წარუდგენს რეზოლიუციებს ლორდთა პალატის უფლებების შეკვეცის შესახებ. პალატას წინადადება მიეცემა, შეზღუდოს ლორდთა პალატის „ვეტოს“ უფლება და ამით უზრუნველ-ჰყოს დეპუტატთა პალატის უპირატესობა. ამას გარდა, ლორდთა პალატას უფლება არ უნდა ჰქონდეს ჩაერიოს ბიუჯეტის საქმეებში. სამინისტროს განზრახული აქვს მომავალ წელს ლორდთა პალატა

დემოკრატიულ საფუძველზე დაამყაროს. სამინისტრო თვის უპირველეს მოვალეობად სთვლის ლორდთა პალატის უფლებების შეზღუდვას და ყოველ შემთხვევაში ყურადღებას არ მიაქცევს დაემორჩილება ლორდთა პალატა სამინისტროს გადაწყვეტილებას თუ არა. სამინისტრო არაფერს დაერიდება და ან თავისას გაიტანს, ან სამსახურიდან გადადგებაო.

**სტამბოლი**. ბოლგარიის მეფის პეტერბურგში ჩასვლამ და იქ წარმოთქმულმა სიტყვებმა აამოძრავეს რუსეთის მოწინაამდეგე ელემენტები. მიუხედავად ამისა, პარლამენტის მოღვაწეები და მთავრობა მაინც წინანდებურად უყურებენ საქმეს და სწამთ რუსეთ-ოსმალეთის მეგობრობა. ამის შესახებ სააგენტოს კორესპონდენტი ესაუბრა პარლამენტის მოღვაწეებს და მათის ნალაპარაკევიდან ის დასკვნა გამოიტანა, რომ ოსმალეთში ეშინიანთ ბოლგარიის მეფის პეტერბურგში ჩასვლამ და იქ წარმოთქმულმა სიტყვებმა არ გააძლიერონ ბოლგარების შოვინიზმი. ამ შიშს აორკეცებს სოფიაში მომხდარი ამბები და საზღვარზე ოსმალეთ-ბოლგარიის ჯარის ხელმეორედ შეტაკება. ოსმალეთის ფასიანი ქაღალდები დაეცა, თუმცა სერიოზული მიზეზი ამ დაცემისა არა სჩანს, რადგან მაკედონიაში მშვიდობიანობაა.

**ლონდონი**. ლიბერალურ გაზეთები კმაყოფილნი არიან პრემიერ-მინისტრ ასკვიტის სიტყვით. კონსერვატორების გაზეთები ჰკიცხავენ ასკვიტს, ანგარიშს არ უწევს ინგლისის საფინანსო საკითხებს და ულირსად ემორჩილება რადიკალიზმსაო.

**სტამბოლი**. როგორც ოსმალეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში და ბოლგარიის საელჩოში შეკრებილ ცნობებიდან სჩანს, ოსმალეთი და ბოლგარია გულწრფელად მოწადინებულნი არიან მშვიდობიანად დაამთავრონ საზღვარზედ მომხდარი ინციდენტი და გამოარკვიონ ოსმალეთ-ბოლგარიის საზღვარი.

**პარიზი**. ტულონის ნავთსადგურში აღმოჩენილ ბოროტ-მოქმედების აღმოჩენის შემდეგ, მთავრობამ გადასწყვიტა რევიზია გაუკეთოს საზღვაო დაწესებულებებს და ნავთსადგურებს.

**ლონდონი**. დეპუტატთა პალატა. ბალფურმა განაცხადა, თუ მთავრობის განაცხადებას პარლამენტარულის თვალსაზრისით შევხედავთ, მისი გამართლება შეიძლება, რადგან დააკმაყოფილებს შეერთებულ პარტიებს, მაგრამ სახელმწიფო თვალსაზრისით კი ეს განცხადება სწორე არ არისო. შემდეგ ილაპარაკეს რედმონდმა, დალზიელმა, ჩემბერლენმა და ლოიდ ჯორჯმა. ჩემბერლინის შეკითხვაზე ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, ჩემის აზრით პრემიერ-მინისტრმა ასკვიტმა საფუძვლიანად დაასაბუთა, რომ სანამ ლორდა პალატის უფლებები არ შეიკვეცება, ბიუჯეტი არ უნდა მივიღოთო. ამის შემდეგ პალატამ ერთხმად მიიღო ასკვიტის წინადადება, 11 მარტამდის ბიუჯეტი და საფინანსო საკითხები განვიხილოთ და შემდეგ პალატის სხდომები შევწყვიტოთო. პალატამ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც მთავრობას ევალება აიღოს სესხი ზოგიერთ სესხების გასასტუმრებლად. ირლანდიელებმა გადასწყვიტეს ნეიტრალიტეტი დაიცვან და მთავრობას არც მიემხრონ, არც მტრობა გაუწიონ.

**ბერლინი**. „ფოსიშე ცაიტუნგს" ათინიდან დეპეშით ატყობინებენ: უნივერსიტეტში სტუდენტებს შეტაკება მოუვიდათ. მისალონაში არეულობააო.

**პუანტაპიტრი** (გვადელუპა). სამ ქარხანაში მუშაობა განახლდა. გადაწულია ორი პლანტაცია. ახალშენელებში ბევრია მძიმედ დაჭრილი.

**ბოსტონი**. გადაიწვა „ლლოიდ-სტიმილ-კომპანიის" გემთ საშენებელი. ზარალი 6 მილიონ მანეთს უდრის.

**ბერლინი**. რეიხსტაგის პრეზიდენტად ერთხმად აირჩიეს კონსერვატორი გრაფი შვერინლოვიცი.

**კუქსგაფენი**. გენტის ახლო ცეცხლი გაუჩნდა რუსეთის სავაჭრო გემს „ტოლსტოის". გემის ქვედა ნაწილი წყლით აივსო, საქონელი სულ გაფუჭდა.

**სალონიკი**. საერო განათლების მინისტრმა უსკიუბის გუბერნატორს ბრძანება გაუგზავნა, თვალყური ადევნეთ, რომ არამც და არამც ალბანიის სკოლებში ლათინური ანბანი არ იხმარონო. დაუყონებლივ დაჰკეტავენ იმ სკოლებს, რომლებიც არ დაემორჩილებიან ამ ბრძანებას. სამსახურიდან განდევნიან ლათინურ ან-ბანის მომხრე მოხელეებს და მასწავლებლებს. სასტიკად სდევნიან ალბანელთა იმ მეთაურებს, რომლებმაც მთავრობას დეპეშა გაუგზავნეს და ლათინური ან-ბანის დატოვება სთხოვეს, ალბანელები ძალიან აღშფოთებულნი არიან მთავრობის ასეთ მოქმედებით.

**ამსტერდამი**. ნაპირებიდან გადმოვიდა მდინარე მარსი. მასტრიხტის ახლო მდებარე ქარხნები სულ წყლით აივსო. მუშები უმუშევრად დარჩნენ. ქალაქ მასტრიხტში რამდენიმე ასი სახლი წყლით აივსო.

**ლონდონი**. მეფემ მიიღო კენტერბერიის და იორკის მთავარ-ეპისკოპოსი. მრავალ ეპისკოპოსის მისალმებაზედ, მეფემ განაცხადა, მუდამ იმას ვსცდილობ, რომ საერთაშორისო მშვიდობიანობა დავიცვაო. მეფის სიტყვით საერთაშორისო მშვიდობიანობისგან არის დამოკიდებული ერის პროგრესსი და კეთილდღეობა. მეფემ მადლობა შესწირა ღმერთს, რომ ინგლისს სახელმწიფოებთან მეგობრული კავშირი აქვს. სამხრეთ-აფრიკის კავშირი ხელს შეუწყობს ახალშენების მშვიდობიანობას. მეფის მემკვიდრის ახალშენებში ჩასვლა ხელს-შეუწყობს მშვიდობიანობის დამყარებას, რისთვისაც დიდი ხანია სცდილობენ გოლანდიის და ინგლისის ქვეშევრდომები.

## ს პ ა რ ს ე თ ი

**თეირანი**. რადგანაც გარეშე სესხის წინაამდეგ მცხოვრებლები პროტესტს აცხადებენ, ამიტომ სეპეხდარმა და სერდარ-ასადმა სამსახურიდან გასვლა ითხოვეს. მეჯლისმა და რეგენტმა არ მიიღეს მათი თხოვნა. პოლიცმეისტერის მეუღლე მედრესებში ქალების კრებებს მართავს და პროტესტს აცხადებინებს გარეშე სესხის წინაამდეგ.

## ჰაერში ფრენა

**ბერლინი**. დილის 10 საათსა და 15 წუთზედ ბიტერფელდში აფრინდა ახლად გაკეთებული ჰაეროპლანი „პერვილ მეხუთე". ჰაეროპლანი ნაშუადღევის პირველ საათსა და 55 წუთზედ ტეგელში ჩამოეშვა.

## რ უ ს ე თ ი

**კიევი**. სამხედრო გამომძიებლის ბრძანებით ღამე დააპატიმრეს საინტენდატოს ექვსი მოხელე.

**პეტერბურგი**. სახელმწიფო დაცვის კომისიამ მიიღო კანონ-პროექტი, რომლითაც ებრაელებს ეკრძალებათ სამხედრო-საექიმო აკადემიაში შესვლა.

გამომძიებელმა დააპატიმრა ლომბარდის დირექტორი მარტინსონი. ბრალდება 111,836 მანეთის გაფლანგვა.

**ვოზნესენსკაია** (ყუბანის ოლქი). არმავირის ახლოს მოჰკლეს „სტაროობრიადცების" მღვდელი, ბოროტგანმზრახველებმა წაიღეს მღვდლის ტანისამოსი, ცხენები და ეტლი.

**დონის-როსტოვი**. ბოროტ-განმზრახველების ბრბო თავს დაეცა სერგეევის სახლს. ბოროტ-განმზრახველებმა მძიმედ დასჭრეს სერგეევი, წაიღეს ფული, ნივთები, ცხენები, ეტლი და მიიმალნენ.

კავკასიის რკინის გზამ ხელმეორედ მოუმატა კონდუქტორებს ჯამაგირი. ამით აზრათ აქვთ შემცირონ უბილეთო მგზავრების გადაყვან-გადმოყვანა. ამას გარდა, რკინის გზის გამგეობამ 75,000 მანეთი გადასდო თავის მოვალეობის კარგ ამსრულებელ კონდუქტორების დასაჯილდოებლად.

**პეტერბურგი**. შავ ჭირთან მებრძოლ კომისიის ცნობებით 13 თებერვალს სოფელ ბოდაიში, ასტრახნის გუბერნიაში, შავი ჭირით ავად გამხდარა 9 კაცი.

**ხარკოვი**. ჩამოიყვანეს დაპატიმრებული აგრონომი ვოლინსკი, რომელმაც ალექსანდრე-სვირის ეკლესიის ქვანახშირიან ადგილის გაყიდვის დროს ქრთამი აიღო და მამული ერთ მილიონ მანეთად ღირებული, 60,000 მანეთში გააყიდვინა ეკლესიას. კონსისტორიის მდივნის ს. და სამღვდელო პირთა სახლების გაჩხრეკის დროს, პოლიციამ აღმოაჩინა ფასიანი ქაღალდები, რომლებიც სხვა და სხვა ადგილას დაემალნათ დამნაშავეებს.

**ჰელსინგფორსი**. უკვე შეიკრიბნენ სეიმის დეპუტატები. სეიმი ჯერჯერობით განიხილავს დეპუტატთა არჩევნების საქმეს.

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

◆ **შეკითხვა**. 16 თებერვალს გუბერნატორი ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალს შეჰკითხებია, ვისი ნებართვით არსებობს დეპუტატთა საკრებულოსთან საადგილმამულო კომისია და რა საქმეებს აკეთებსო (ნ. რ.)

◆ **პოლიციელნი და ყუმბარები**. პოლიცმეისტერმა შემდეგი ბრძანებანი დაუგზავნა პოლიციელებს: ტფ. საგუბერნიო სამმართველოს დადგენილებით 10 თებერვალს გარჩეულ იქმნა საქმე „სისკის" განყოფილების გამგედ ნამყოფის ვლადიმერ მაჩინსკისა და პოლიციის ზედამხედველების ალექსანდრე ტრუმესკისა და ნიკოლოზ ბალაურაშვილისა. ამათ სამსახურში წინ წაწევისთვის და საჩუქრების მიღებისათვის ჩაიდინეს შემდეგი: ერთმანეთთან შეთანხმებით ტფ. მოქალაქის ესტატე მუმლაძის ეზოში ბოჭკაში ჩასდეს ორი ყუმბარა მაკედონიის სისტემისა. შემდეგ ეს ყუმბარები ვითომდა აღმოაჩინეს და დიდის ამბით აცნობეს პოლიცმეისტერს. მოხსენებაში წინასწარგანზრახვით ცრუ-ცნობები შეიტანეს, ამასთან იშუამდგომლეს დასაჩუქრებაზე. საგუბერნიო სამმართველომ დაადგინა, პასუხის-გებაში მისცეს ბრალდებულნი. საქმე ტფ. ოლქის სასამართლოს გადაეცემა.

◆ **ჟურნალი „ფასკუნჯი"**. როგორც გვატყობინებენ, ჟურნალის გამოსვლა დაგვიანდა სურათების მიზეზით. პირველი ნომერი გამოვა მარტის შუა რიცხვებში შემდეგის შინაარსით—ნაწარმოებნი განდეგილისა, ეკ. გაბაშვილისა, კ. მაყაშვილისა, ალ. შანშიაშვილისა, ალ. სარაჯიშვილისა, ტრ. რამიშვილისა; წერილები—ნ. მარრისა, ე. თაყაიშვილისა, კ. აბაშიძისა, გრ. რობაქიძისა, სიტყვანი და სხ. ჟურნალში მოთავსებული იქნება ერთი ფერადი სურათი, ორი ფოტოტიპიური სურათი და ორი ცინკოგრაფიაში გაკეთებული ნახატი.

◆ **საელექტრონო სადგური**. პროფესორი არტემიევი დღეს, 18 თებერვალს, გამოვა კიევიდან და ტფილისში რამდენიმე დღის შემდეგ იქნება. პროფესორი ქალაქის გამგეობამ მოიწვია. იგი მონაწილეობას მიიღებს საელექტრონო სადგურის ტეხნიკურ პროექტის შემუშავებაში.

◆ **ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება**. სამშაბათს, 16 თებერვალს, საქართველოს ეგზარხოსის თავმჯდომარეობით შესდგა საზოგადო კრება კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებისა. კრებამ ამ დღეს 25-მდე მიმდინარე წვრილმანი საქმე განიხილა. სხვათა შორის, კრებამ დაადგინა, გადასდოს სოფელ ვაგარშაპატში (ეჩმიაძინის მაზრა) მართლმადიდებელ ეკკლესიის ასაშენებლად 15,000 მან. საზოგადოების საბჭოს წევრებად დამატებით აირჩიეს სენატორი ვატაცი, მიწად მოქმედების სამინისტროს კავკ. რწმუნებული არქიპოვი და გუბერნიის მარშალი თავ. ბაგრატიონ დავითიშვილი.

◆ **ნიხრი და ყასბები**. ტფ. პოლიცმეისტერმა პოლიციელებს აცნობა, რომ ზოგიერთი ყასბები ნიხრს არ იცავენ და ხორცს მეტ ფასად ჰყიდიან. პოლიცმეისტერი ავალებს ბოქაულებს, გააძლიერეთ ზედამხედველობა, რომ ყასბები ნიხრზე ზევით არა ჰყიდნენ ხორცს, ხოლო დამნაშავენი პასუხის გებაში მიეცითო.

◆ **წრის კრება**. კვირას, 21 თებერვლისთვის, ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის სადგომში დანიშნულია საზოგადო კრება ზუბალაშვილის სახალხო სახლთან არსებულ წრისა.

◆ **ხმოსანი ელიავა**. ტფ. ქალაქის გამგეობამ გუშინ მიიღო ქა-

# ოსმალელი ქართველები

(შემდეგი*)

აქეთ-იქით ულმერთოდ გაფანტული, უწინამძღვროდ დარჩენილი ქართველობა ამ უცხო ქვეყანაში მარტო თავის მარჯვენას და ბედობია და თვისით ცდილა გაეკაფა თვისი ეკლებიანი გზა. ვისთანაც მქონია ლაპარაკი, ყველა ამას მარწმუნებდა და რაშიდ ეფენდი ხომ ბევრს მელაპარაკა, რომ ათასნაირმა გაჭირვებამ და ცოლშვილის შიმშილმა ხალხი გააფთრა, უნარსა და გარჯილობას შეაჩვია, ასე რომ თურქებს შურიც კი აუღიათ, ეგენი ვაჟკაცობაში და მუშაობაში ჩვენ რად გვსჯობიანო; შური ცხად მტრობად გადაქცეულა და ერთი საბაბი ეს ყოფილა, რომ სისხლიერი შურისძიება ჩამოვარდნილა; მთავარი საბაბი კი სხვა არის: რაკი თავიდანვე გულცივმა დახვედრამ გული გაუგრილა სამშობლოდან ლტოლვილ ხალხს და ერთის ფეხის შემოდგმით გაუქრათ ერთმორწმუნეობის სასოებით აღძრული ტკბილი იმედი, მაგრამ უკან დაბრუნებაც აღარ იქნებოდა, ადვილი გასაგებია, რა გუნებაზე დადგებოდა ხალხი, რა ცეცხლი და ბოღმა დატრიალდებოდა იმის გულში. ხოლო როდესაც საოცნებო მასპინძლებმა კარგის მაგიერ მუშტი უჩვენეს და იარაღითაც შეეხნენ უპატრონო ხალხს, მაშინ ხომ გაბრაზებას და გულისწყრომას საზღვარი აღარ დაედებოდა. იარაღი ნუ იქნება, თორემ გურჯი მშიშარა არ არის: მამლივით მოვკვდები და დედლივით არ ვიცოცხლებო, აი რა უთქვამთ. უღლიათ ხელი და ერთის ადგილას ორად და სამად უხდიათ მაგიერი. ამ ზომამდე მისულა ხალხი. ამით თავიც მოაქვთ, დავაშინეთო.

თუ წინად თათრობა საოცნებო იდეალი იყო და ქართველობა მას მიელტვოდა, დღეს თავის თვალით დაინახა, მამაპაპათა ნადგომი რომ დასტოვა, ვის ამოუდგა გვერდით: თურქმა მეზობლობა არ იცის, ნათესაობა არა აქვს, ერთმანეთს არ გაიტანენ, მოხუცებული მამა შვილს არ ებრალება, ხარჯი რო მოვა, ვინც ღარიბია, იმას უფრო მეტს ართმევენ, ჩვენ მაგათთან მეზობლობა და ცხოვრება არ შეგვიძლიან. მე ისე გავსაზრე, რომ კაცობა ისევ ჩვენში ყოფილა; შებრალება და სვინდისი გურჯისა მე არა ხალხში არ მეგულებაო, ასე მითხრა სიტყვა სიტყვით რაშიდ ეფენდმა. ბნელია, ბნელი აწ ცხოვრება ჩვენი, მაგრამ აბა უყურე, შიგ როგორი ნათელი სჩანს. დაგვებნენ, დაკარგეს სამშობლო, მაგრამ არ დაჰკარგეს გული, მატარებელი ადამიანობისა. მოიგონე ასეთივე სიტყვები გურჯის ნამუსობაზე სტუდენტ სულეიმან გიორგაძისა. რაკი ასე მითხრა ორმა ადამიანმა სულ სხვა და სხვამ, სხვა და სხვა დროს, მაშ ეტყობა აქ არ არის შემთხვევით ნათქვამი კომპლიმენტი და თავის თავის ქება, არამედ წრფელის გულიდან აღმონაქსული ერთი გარკვეული აზრი დიდებულ ტრადიციის მქონე ეროვნებაზე, თვით ხალხის ჩუმი ღაღადი, თუ გნებავს. ნახა, გაიგო ქვეყანა და სცნო თავისი თავიცა და თავისი დასკვნა ამ ფორმულაში ჩამოაყალიბა. ამისთანა ხალხი დიდხანს არ ილოცავს იქით, საითაც დააყენებენ.

გაჭირვებას ბევრი რამ უჩვენებია ხალხისთვის. თვისთაგან დავიწყებული, თურქთაგან ათვალწუნებული ქართველობა მალე დარწმუნებულა, რომ ხსნა და შველა ერთობაშია. გაჭირვებულს ისევ გაჭირვებული მოეხმარება. სამშობლოს მოვწყდით, აქაც ბედმა თევზებივით ერთ ტაფაზე დაგვსა, სხვა ვინ იქნება ჩვენი მოლხინე, თუ არ ჩვენვე ერთმანეთშიო. ამ შინაგან ხმას დიდხანს უმუშავნია და ბოლოს გადაქცეულა მიდრეკილებად, რომ თურქებისგან დამოუკიდებელი საკუთარი ორგანიზაციები გაიჩინონ და თავიანთ ნამუს-ხასიათზე აწარმოონ საქმე. ზოგან აუსრულებიათ კიდევაც. ჩვენ თურქებთან ცხოვრება არ შეგვიძლიანო, ცარიელი სიტყვები არ ყოფილა რაშიდ მამინიძისა. მან მიამბო შემდეგი:

საქართველოდან გამოსვლისას კერასუნში დასახლდა ოცდა ათი კომლი, ორმოცდა ათი გახდა. ათი სხვა მოვიმხრეთ თურქებიდან, სამოცი ოჯახი გახდა. ჯამე ჩვენი გავხსენით, რომ თურქი ჩვენ საქმეში არ გარეულიყო (ალბად, სამოცი კანონით არის მოთხოვნილი და ერთი ჯამეს მრევლი იურიდიულად ერთეულია). ახლა შემოგვაწერენ ხარჯს; შენ ესა გაქვს, იმას ის უჭირავს. ჩვენ ვიცით ერთმანეთში, ვის რა გვაქვს; ზოგს მეტი შეუძლიან, ზოგს ნაკლები. შენ ამდენი გიჭირავს, ეს შეგიძლიან, ამდენი ამოიღე და დადე, შენ ამდენი, იმან ამდენი. ზოგს სული არა აქვს რა, ზოგი ქვრივ-ობოლია, იმათ სულ არაფერი უნდა გამოერთვას. ასე მოვკრეფავთ, რამდენიც გვაწერია, მივცემთ ჩვენ თავკაცებსა და ვეტყვით: წადით და ესნაფერი (ფული) ჩააბარეთ ფაშის გამოგზავნილსაო. ყველაზე მძლავრად და ტკბილად ამ სიტყვებმა დამიარეს გულში. ერთი ათად გამეზარდა ეროვნული თვითმოყვარეობა. რამდენი ძალა ყოფილა შენახული ხალხში, რომ ვერა უცნაურებამ ვერ ჩაუქრო ღვთიური მადლი და გრძნობა ადამიანური. რა არი ამასთან ის დეფექტი სისხლიერ შურისძიებისა, რომელსაც იძულებით დასდგომიან? აგრე ულმობელად მტერთან იქცევიან ასალაგმავად, თორემ ისე აჰა იხილე მათი აზრი და მსჯელობა. მათ არა თუ აიცდინეს თავიდან ზნეობრივი გახრწნა, არამედ სოციალურ სიმართლის ძიებასაც კი დასდგომიან. სხვა კაცთმოძულეთ კი რომ ჰკითხო, ქართველი ერი ავაზაკი და ყაჩაღია, აზიტი, პატივისმცემელი მხოლოდ ძლიერებისა და მარტო ხიშტი გვაყენებს კანონიერებაში, თორემ თუ ჩვენ თავისუფლება მოგვეცა, იქნება დავჰამოთ კიდეცა ერთმანეთი. მართალია, ერთი სოფელი მთელი ქვეყანა არ არის, მაგრამ სულიერად კი მასთან არის გადაკავშირებული და ცხოვრების მოვლენაში მას მოწამედ უდგება. ან ვინ იცის, რამდენია ამ ნაირი მაგალითი? ერთი კია უტყუარი სინამდვილე: თავის დაცვაში ყველანი ერთად არიან; თუ ვინმე ქართველი დააზარალა, მთელი სოფელი ეძიებს შურსა.

ლაპარაკში ჩემი თანამოსაუბრე ეროვნულ სახელად მუდამ ქართველს ამბობდა და სხვებიც, საზოგადოდ, ვინაობის დაკითხვაზე ან ქართველს გეტყვიან, ან გურჯს, ამ სახელებს შორის გარჩევას არა სდებენ. თათარი ვართ კი, ამას თავის დღეში არ იტყვიან. პირიქით, თუ დაუძახა ვინმემ, ძლიერ ეწყინებათ, ჩვენ თათრები არა ვართ, თათარი თურქიაო. ვინმე უვიც ქრისტიანს ეხმარა ეს სიტყვა და წყენით შემომჩივლეს, ასეთი დიდი შეურაცხყოფაა ამათთვის ქართველად არ ხსენება. ვისაც არ უნახავს, ეგონება, აღარც კი ახსოვთ სიტყვა „ქართველი", მაგრამ ყველაზე ხშირად ამ სახელს აქ გაიგონებთ. საქართველოში კი მუსულმან ქართველს რომ დაეკითხოთ ვინაობაზე, იტყვის, თათარი ვარო და რაღაც უბედურ ჯიუტობით იმეორებს ამას. სწორედ ეს უკუღმართობა მოვაგონე მამინიძეს და მან ასე მითხრა, არ იციან და მაგრე იმიტომ ამბობენო, რჯული და თათრობა ერთი ჰგონიათო და ქართველს კიდევ ყველა ქრისტიანს ეძახიან გინდ ბერძენიც იყოსო. მერე ვითომ მე არ ვიცოდი, ისე დამიწყო განმარტება: რჯული სხვა არის და გვარი სხვა. მუსულმანი ბევრია, მაგრამ ყველა კი თურქი არ არის. თავი მუსულმანები არაბები არიან; ალბანელებიც მუსულმანები არიან, მაგრამ თათრობა კი არ ეთქმით. ჩვენებიც რომ გაიგებენ ამას, ეგრე აღარ იტყვიანო. დიახ, მაგრეა და რამდენი კიდევ სხვა რამ გვაქვს გასაგები? მაგრამ ოღონდ შრომა და თავგამომეტება იყოს და კვლავ აღდგენილ იქნება ჩვენი დამსხვრეული ოჯახი, კვლავ აბოლდება კერა ქართველისა. ნუ გგონია, რომ მუსულმან ქართველობას არ უდვიოდეს ამისი სურვილი. როცა საქმეზე გველაპარაკებიან, ზედ დასკვნას იძლევიან და გზას გვიჩვენებენ, თუ რა საშუალებით გავიგებთ ჩვენს გასაგებარს. ასე მოიქცა რაშიდ მამინიძეც: წერა-კითხვა გვიშველის. თუ იგი ვასწავლეთ, რჯულის საქმესაც გაარჩევენ და აღარც დავიკარგებითო.

მე გამოცდილებით ვიცი, რომ ზოგიერთს მეტად ეჩოთირება პასუხი აყრაზე და აქეთ წამოსვლაზე. მაგრამ ორი საათის ლაპარაკით მე და მამინიძე ასე დავახლოვდით, იმ ზომამდე ვიგრძენით ერთ·ულობა და ერთტომობა, რომ ერთმანეთის მხილებასაც აღარ დავერიდებოდით, თუ ჩვენ რაიმე შეცოდება მიგვიძღოდა ჩვენი ეროვნების წინაშე. მეც ველარ მომითმინა გულმა და ვკითხე: რათ დააგდეთ ქვეყანა და წამოხვედით, იქ თქვენი მამების საძვლე დაჰკარგეთ და აქ დაიფანტენით მეთქი? მე მგონია, მამინიძე დანანებით ამოიოხრებდა, როგორც სხვები შვრებიან, მაგრამ ალბად ის ისევ იმ ილუზიებშია გახვეული, რომელთაც ხალხი აუფუებია და აქეთ გადმოუდენია. ალბად, რომელ ბოროტსაკ დასჭირდა ეს ჩვენი უბედურება, ბოროტი ენა გამოიბა და უვიც ხალხში ჭორები გაავრცელა: რუსი რომ ჩამოვიდა, ჩვენ უნდა გავექრისტიანებინეთ, ჩვენი დედა-კაცები სალდათათ უნდა წაეყვანათ და კაცებს გვეყურებინა, თუ არ გავქრისტიანდებოდით, უნდა გავეწყვიტეთ. ერთ სოფელში შეაგროვეს ერთიანად ქალი და ბავშვი, დააწვინეს კალოზე და კავალერიას უბძანეს ზედ გადაევლო, მაგრამ ცხენი შედგა, არ გადაიარა; კარგი,ააყენეთო; ის დღე რომ დაღამდა, ხელმეორედ დააწვინეს, ზედ თივა გადააფარეს, მაშინ კი გადაიარა ცხენმა და ქალი ბოვშვიანად გაჭყლიტეს. კაცს რომ შეებრძოლო და მოჰკლა, კიდევ ჰო, მაგრამ დედაკაცი რას აშავებს, ბავშვის გაჭყლეტა როგორ იქნებაო. თუ დღესაც ზოგი ამ ბურანშია, წინად რაღა იქნებოდა და რანაირად გაუადვილდებოდა საქმე, ვისაც ჩვენი ამოგდება უნდოდა. გასაოცრების ასპარეზად შეიქმნა ეს უბედური მხარე საქართველოსი: ჯერ იყო და თავი ნახევრად ამოაწყვეტინა თათრობას ქრისტიანობის გულისთვის და ცეცხლისა და მახვილის ქვეშ მიიღო მაჰმადიანობა. მერეა და რჯულსავე ანაცვალა შეურყეველი ლონე და ახლა მაჰმადიანობის გულისთვის მოითხარა ქვეყნიდან. ასე იტრიალა ქართვლის ბედმა სხვა და სხვა ბოლოზე და დასკვნა კი ყოველთვის ერთი გამოვიდა: რჯულიც ჩვენი ამფორიაქებელი გახდა. ჩვენ რომ კვალში მივდევთ ჩვენს რწმენას, ეს

*) იხ. „დროება" № 37.

ლაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს საბოლოო გადაწყვეტილება ხმოსან ნ. ზ. ელიავას გადაყენების შესახებ. საბჭოს დადგენილების თანახმად, ქალაქის გამგეობა ამ დღეებში ვრცელს მოხსენებას შეადგენს და საკრებულოს გადაწყვეტილებას განასაჩივრებს სენატში.

✦ **ფუნიკულერი.** ტფ. ქალაქის გამგეობამ მისწერა ფუნიკულერის საზოგადოების გამგეობას; თუ სამი დღის განმავლობაში არ შეავსეთ ბე, გამგეობა წესდების უფლებით ისარგებლებს და იმის მიხედვით იმოქმედებსო.

✦ **თავის მოკვლის განზრახვა.** 16 თებერვალს მუხრანის ბოგირიდან მტკვარში გადავარდა 50 წლის მოხუცი, იოსებ მჭედლიშვილი, ხელობით მკერვალი. მჭედლიშვილს ჩაეშველნენ, გადაარჩინეს და მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. თავის მოკვლის მიზეზი, როგორც მჭედლიშვილს განუცხადებია, ისა ყოფილა, რომ იგი ესაქმოდ დარჩენილა და ცხოვრება ძალზე გასჭირებია.

✦ **სხდომა.** მიმდინარე საქმეების განსახილველად დღეს, 18 თებერვალს, საღამოთი სხდომა ექმნება წ.-კ. საზოგადოების მთავარ გამგეობას.

✦ **დ. ნ. შიპოვი.** ამ ერთი კვირის წინად ბაქოს ქალაქის საბჭოს წევრმა ტაგიევმა დ. ნ. შიპოვს მოსკოვში დეპეშა გაუგზავნა და ქალაქის გამგეობის წევრობა სთხოვა. შიპოვმა უნდა იკისროს წყლის საქმეები. ეხლა, როგორც „ბაკუ" გადმოგვცემს, შიპოვისგან ტაგიევს დეპეშა მიუღია,—პრინციპიალურად წინააღმდეგი არა ვარ თქვენი წინადადებისა და თუ საქმე მოითმენს, ყველიერში ჩამოვალ, რომ ადგილობრივ გავიცნო ის თანამდებობა, რომელიც უნდა ვიკისროო. დ. შიპოვი დიდად ცნობილი მოღვაწეა რუსეთში. იგი მოსკოვის საგუბერნიო საერობო გამგეობის თავმჯდომარედ იყო, მაგრამ ოქტომბრისტებმა და მემარჯვენეებმა გაგაშავეს.

✦ **სასამართლოში.** 15 თებერვალს ტფ. სამოსამართლო პალატამ გაარჩია იაგორ გენათიშვილის, ივანე დათუნაშვილის, აზარა ბეჟიტაშვილის და იაგორ ჩერქეზიშვილის საქმე. ჰბრალდებოდათ მკვლელობა წინ-და-წინვე განზრახულ მიზნით. შარშან ამათი საქმე განიხილა ტფ. ოლქის სამართლომ და ყველანი გაამართლა. პროკურორმა საქმე პალატაში გადაიტანა. პალატამ გააუქმა ოლქის სასამართლოს განაჩენი და მიუსაჯა: ჩერქეზიშვილს—12 წლით, გენათიშვილს და დათუნაიშვილს—ათი წლით კატორგა, ხოლო ბეჟიტაშვილი გაამართლა.

✦ **თავდასხმა სოფელზე.** დეპეშათა სააგენტო იუწყება: 17 თებერვალს ყაჩაღები თავს დაეცნენ სოფელ ირზალილენს (ლენქორანის მაზრა). ყაჩაღებმა მოჰკლეს ერთი, დასჭრეს სამი კაცი, გაიტაცეს სხვა და სხვა ნივთები და მიიმალნენო.

✦ **ყალბი ფულის მჭრელნი.** 16 თებერვალს პოლიციას ჯევათის მაზრაში, ბაილოვის სათევზაო ადგილებში, აღმოუჩენია ყალბი ფულის მჭრელნი. პოლიციას წაუღია ფულის მოსაჭრელი მანქანები და ყალბი ფული. (პ. ა.),

✦ **გამართლება.** ამ დღეებში ტფ. ოლქის სასამართლომ სიღნაღში განიხილა ნიკოლოოზ ახმეტელაშვილის, დავით ბებურო-ვაჩნაძის, ქიტო ნადირაშვილის, ივანე ტურიაშვილის (იგივე ჰიპაშვილის), ივანე ტურიაშვილის (იგივე ტიბჟირაშვილის), პიპო კონაშვილის, სანდრო მუხიანიძის და დათიკო სამადაშვილის საქმე. ჰბრალდებოდათ შარშან 2 აპრილს მამულოვის მოკვლა. სასამართლოში არ გამოცხადნენ სანდრო მუხიანიძე და დათიკო სამადაშვილს, რომელნიც კარგა ხანია იმალებიან. სასამართლომ ბრალდებულნი გაამართლა.

✦ **ავჭალის ქუჩის ტრამვაი.** ტრამვაის დირექციას პირველ იანვრიდან ავჭალის ქუჩაზე შეუმცირებია ვაგონების რიცხვი. წინად ყოველ-დღე დადიოდა 8 ვაგონი, ეხლა ხუთი დადის. ქალაქის კომისიას წინადადება მიუცია დირექტორისთვის, ავჭალის ლიანდაგზედ წინანდებურად 8 ვაგონმა იმუშავოსო.

✦ **ცეცხლი.** 15 თებერვალს ბაქოში სლობოდსკის ქუჩაზე ცეცხლი წაჰკიდებია ორ სახლს. ორთავე სახლი დამწვარა. ცეცხლში დამწვარა ორი ბავშვი და ერთი კაცი. ამას გარდა, მძიმედ დაშავებულა სამი ბავშვი; მორჩენის იმედი არა აქვთ თურმე. (კ.)

✦ **საჩივარი.** ქალაქ სიღნაღის რწმუნებულთა ერთ ჯგუფს საჩივარი აღუძრავს სიღნაღის მამასახლისად კ. ი. ტყავაძის არჩევის წინააღმდეგ. რწმუნებულთა სიტყვით, ტყავაძეს კენჭი უყრია იმ ცენზის მიხედვით, რომელიც მას 1909 წლის 27 ნოემბერს შეუძენია, კანონით კი ცენზისთვის ერთი წელიწადია საჭირო.

✦ ტფ. ქალაქის გამგეობამ გუშინ, 17 თებერვალს, რევიზია გაუკეთა ქალაქის ლომბარდს და ქალაქისავე სადეზინფენქციო კამერას.

✦ 16 თებერვალს, ღამის 12 საათზე, გაქურდეს „ორიანტის" სასტუმროში ჩამომხტარი თავ. გიორგი ამილახვარი. ქურდებს გაუჩრიათ საკვოიაჟი და იქიდან ამოუღიათ ორი სამაჯური ბრილიანტებით მოჭედილი და 80-მდე მარგალიტი, სულ 2700 მანეთისა. ეჭვით დააპატიმრეს სასტუმროს მოსამსახურე პავლე ჩიხლაძე და ყილცოვი.

✦ 16 თებერვალს, დილის 6 საათზე, ტფ. მეტეხის ციხის ეზოდან დაიმალა პატიმარი სარქის ხალათიანი, სიღნაღის მცხოვრები, რომელსაც სამის წლის ვადით პატიმართა გამასწორებელი რაზმი ჰქონდა გადაწყვეტილი.

✦ 16 თებერვალს ტფილისში შემდეგი ამბები მოხდა: სამოვოლნი ქუჩაზე დააპატიმრეს საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლებული და ნება დაურთველად დაბრუნებული ივანე ხარებაშვილი. ამავე დღეს ჩხრეკის დროს დააპატიმრეს პოლიციის მე-3 ნაწილში—17, მე-4 ნაწილში—20, მე-5 ნაწილში—12 და მე-9 ნაწილში—9 უპასპორტო კაცი. შუა ბაზარში დააპატიმრეს რაჭველი ვასილი ნიკოლაშვილი, რომელსაც ორი ვერცხლის ქამარი გაეტანა გასასყიდად. დაპატიმრებულმა განაცხადა, ქამრები ფეხის ადგილში უცნობებს მოვპარეო. ერთს ქამარზე აწერია ქართულად არჩლაძე. ფეთხაინის ქუჩაზე ტფ. საკრედიტო სახლის ბანი ჩამოიქცა. არავინ დაშავებულა. სურფ კარაპეტის ქუჩაზე დააპატიმრეს გუმბრის მოქალაქე მიკირტიჩ კარაპეტიანცი, რომელიც საგენერალგუბერნატოროდან გასახლების შემდეგ ნება დაურთველად დაბრუნებულა. 16 თებერვალს დააპატიმრეს რომან ღოღობერიძე, რომელსაც სერგო ნიკოლაშვილთან ერთად დაბრალდა ავლაბარში მეთორნე პორფილე ღოღობერიძისაგან ორი ვერცხლის ქამრის მოპარვა.

## მოწერილი ამბები

**ბანძა** (სენაკის მაზრა). გლეხების თხოვნამ მთავრობისადმი დიდი გავლენა იქონია პოლიციაზე. ხანგრძლივ უმოქმედობის შემდეგ მთელი მაზრის პოლიცია ფეხზე დადგა. 12 თებერვალს დილით ადრე ს. ბანძაში, მინდვრად, ასტყდა სროლა. სენაკის მაზრის უფროსს აბაშის ბოქაულის თანხლებით და სტრაჟნიკებით დაუჭრიათ და შეუპყრიათ ყაჩაღი ქიქავა. ეს ის ქიქავაა, რომელსაც აბრალებენ ამას წინად ქუთაისში ა. დადიშქელიანის მოკვლას. ამას გარდა, ქიქავას მანამდისაც ბევრი მკვლელობა და თავდასხმა ჩაუდენია, რისთვისაც დატუსაღებულიც კი ყოფილა, მაგრამ გაქცევა მოუხერხებია. პოლიციას საიდამღაც გაუგია, რომ ქიქავა დილით უსათუოდ ს. ნაკვოზოუში წავაო, ამავე ღამეს პოლიციელებს შეუკრავთ გზები. მართლაც, დილით ადრე შეუნიშნავთ ქიქავა, მიხდვრად მიმავალი. პოლიციის შეძახებაზე ქიქავას კალოშები გაუძვრია, ნაბადიც გადაუგდია და გაქცევა დაუპირებია. მაშინ პოლიციელებსაც სროლა აუტეხიათ და მარჯვენა მხარში დაუჭრიათ. ქიქავა ქუთაისში წაიყვანეს.

**აქაური.**

—

**გურძემი** (სამეგრელო). ჩვენი კუთხიდან არაფერი იბეჭდება ჟურნალ-გაზეთებში. 5—6 წლის წინად სოფლელები ჟურნალ-გაზეთებს არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ, მაგრამ რუსიაპონიის ომის შემდეგ, როგორც სხვაგან, ჩვენშიაც ხალხი თან და თან ეჩვევა კითხვას. ახლა აქ ბეჭდვითი სიტყვას დიდის ნდობით უყურებენ. სამწუხაროდ, გაზეთი იშვიათად გვივარდება ხელში. ხსენებული სოფელი დაშორებულია დაბა-ქალაქებს, ფოსტას, რკინის გზის სადგურს და ყოველ-გვარ ცენტრს და დაწესებულებას. ამასთან უხეირო გზებია. განვიზრახეთ უფასო სამკითხველოს დაარსება. მივმართეთ მთავრობას, რომელმაც ნება დაგვრთო დავაარსოთ უფასო საჯარო წიგნთ-საცავ-სამკითხველო (არსებობა დაიწყო ამა იანვრის პირველ რიცხვიდან). განაგებს კნ. ნათა დადიან-დგებუაძისა, ჯერ-ჯერობით სამკითხველო ღარიბია, მოსდის მხოლოდ ორი ყოველ-დღიური გამოცემა, რომელიც, რასაკვირველია, ვერ აკმაყოფილებს ხალხის სურვილს. თანახმად ხალხის თხოვნისა, უმორჩილესად მივმართავ ქართულ ჟურნალ-გაზეთების რედაქტორ-გამომცემლებს, აღმოგვიჩინონ დახმარება და დაგვითმონ ამ პირველ წელს თავიანთ გამოცემათა თითო ცალი შეღავათიან პირობებში. ვთხოვთ წიგნების გამომცემელთ და წიგნების მაღაზიებს, შესწირონ ჩვენ მივიწყებულ კუთხის სამკითხველო-ბიბლიოთეკას თავიანთი წიგნები. ვთხოვთ კერძო პირთაც, ვისაც გული შესტკივა, დაგვეხმარნენ წიგნებით ან ფულით.

ადრესი: Гурдземская безплатная публич. библіотека-читальня. М. Наогалеви, Кут. г. **მკვიდრი.**

ვთხოვთ სხვა გაზეთებს, ეს ჩვენი განცხადება დაგვიბეჭდონ. **მკვიდ.**

## თეატრი და ხელოვნება

**ბენეფისი ი. ზარდალიშვილისა.** დღეს ქართულ თეატრში ი. ზარდალიშვილის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე „დანაშაული და სასჯელი", თარ. შ. დადიანისა. ეს დრამა დოსტოევსკის რომანიდან არის გადაკეთებული. ბ-ნი ზარდალიშვილი ამ სეზონში ბეჯითად მუშაობდა და თითქმის ყველა წარმოდგენაში იღებდა მონაწილეობას. ჩვენი საზოგადოება, ეჭვი არ არის, პატივს სცემს ახალგაზრდა მსახიობის შრომას და წარმოდგენას დაესწრობა.

—

**ვერის აუდიტორია.** 13 თებერვალს ვერის აუდიტორიაში ითამაშეს: „პირველი და უკანასკნელი კოცნა" ფსიხოლოგიური ეტიუდი, თარგმანი ს. ტარუაშვილისა და ვოდევილები „უბედური დღე" ვ. ბალანჩივაძისა, „დატრიალდა ჯარა" კ. ყიფიანისა. ბ-ნმა ჯანკვეტაძემ ეტიუდის გმირის ფედიას ფსიხოლოგიის დასურათება ვერ შესძლო. ეს სცენის მოყვარე სევდისა და მწუხარების გამოსახატავად პათოსს მიმართავს ხოლმე. გარდა ამისა, სიტყვებს შუაში სწყვეტს, უადგილო-ადგილას ამაღლებს, რაც ქართულ ენის ბუნებას არ შეეფერება. ძლიერ საჭიროა ამ ნაკლის გასწორება. სამაგიეროდ ქ-ნმა ანკარამ (მანია) კარგად ჩაატარა თავისი როლი. [illegible] მარგო და ცისკარი. ესენი სასურველ შთაბეჭდილებას ახდენდნენ და საზოგადოებასაც მოეწონნენ. სცენაზედ ცოცხლად ეჭირათ თავი და კარგად ლაპარაკობდნენ. მეტს ჯერ-ხნობით არას ვიტყვით. კარგ ხელმძღვანელის შემწეობით კარგი სცენის მოყვარენი დადგებიან. ქ-ნი ცისკარი მოსამსახურე ქალის როლში შეეცადა იმერულის კილოთი ლაპარაკს, მაგრამ არაფერი გამოვიდა—არც ეხერხებოდა და არც საჭირო იყო. კივილიც, როცა ბატონები ჩხუბობენ, არა ბუნებრივი იყო. კარგი იყო ბ-ნი ლეხურელი (ყოჩა ურია) ვაჭარი ებრაელის როლში, რომელიც ხელებით ფათურობს, ჯაგრობს, მაგრამ ფეხები-კი შიშისაგან უკანა რჩება. „დატრიალდა ჯარაში" ბევრი აცინა დამსწრენი ბ-ნმა ფრონისპირელმა (მოსამსახურე გლეხი), თუმცა ხანდისხან ავიწყდებოდა, რომ მთვრალი იყო.

შემდეგ გაიმართა „საკონცერტო" განყოფილება. დაწყების წინ გამგემ ბოდიში მოიხადა, რომ სასურველად ვერ მოეწყო კონცერტიო. ბევრჯერ უკეთესი იქნებოდა, სულ არ გაემართათ, რადგან ვერ იყვნენ მომზადებულნი. წაიკითხეს რამდენიმე ლექსი. „დეკლამატორები" დაბეჭდილს ვერ არჩევდნენ, ენა ებმებოდათ და სცენაზე დამფრთხალნი იდგნენ. რომ იტყვიან, „საჯაყი" საქმე მოუვიდათ...

წარმოდგენას ბევრი ხალხი დაესწრო. მეტი წილი მუშები და მოსწავლე ახალგაზრდობა იყო. ზოგიერთები მოთამაშეთ სცენაზედ უპასუხებდნენ, უყვიროდნენ „ბარაშკაო" და სხვა. თუ ეს ბატონები თავიანთ თავს არა სცემენ პატივს, თეატრში მოსიარულე საზოგადოებას მაინც უნდა სცენ პატივი, აბა, რა საკადრისია ასეთი საქციელი! **ფაზელი.**

—

**თელავი.** დ. აწყურელმა, ადგილობრივ სცენის მოყვარეთა წრის მონა-

---

დიდებული ნიშანია, სჩანს, ჩვენი პიროვნება დაორებული არ არის, მაგრამ ვაი რომ სხვათათვის რჯული მხოლოდ იარაღია ერთნაირ პოლიტიკისა და აქ ჯერ ისევ ბევრი რამა გვაქვს გასაგებარი ორივე მტოის ქართველობას.

ბევრი სხვა რამ ვილაპარაკეთ მე და მამინიძემ. როგორ გაიარა საათებმა ვერ გავიგეთ. მზე დაიხარა, წამოსასვლელად ავდეგ, იგიც ამყვა გამოსაცილებლად. მივდიოდით გზაზე, ძმობით მოლაპარაკენი ჩვენ მაშინ ერთმანეთის იმედნი ვიყავით: მე მაიმედებდა კვლავ დაკარგულ ძმათა შემოკრება და შერჩენა, მას ამხნევებდა ნუგეში და სასოება გურჯისტანისა. შუა გზიდან გამომეშვიდობა და გავიყარენით ამ გრძნობით. მე თუ ვერ მოვიდე, შენ არ დამივიწყო, მალ-მალ მნახავდეო, დამავედრა.

ეხლა ორ ენკენისთვის ამბავი მოისმინე და დარწმუნებული ვარ, როგორც მე ამერია ერთმანეთში ტკბილი და მწარე ფიქრები, ისე დაგემართება შენცა. იგი ამბავი გეტყვის, რომ მწარეა ბედკრული დროება მტერთაგან ქართველთა არევისა და ტკბილია იმედი მომავლისა კვლავ ერთმანეთის ნახვისა და შეერთებისა, მაგრამ ყოველივე დამოკიდებულია აწმყოზე, ჩვენს უნარზე. ზღაპარში წაკითხული გეგონება და არც მე დავიჯერებდი, რომ თითონ მე არ გადამხედოდა, ისე უჩვეულოა ეს ამბავი სამუსულმანოში.

პატრმა ანდრიამ შემატყობინა, საქართველოდან ჩამოსულა ერთი მანდილოსანი და ნახეო. მე მზადება დავიწყე და თან ვფიქრობდი, ალბად ჩემი ნაცნობი ვინმე იქნება და ნახვა უნდა, მაგრამ ამ დროს აქ რომელი უნდა იყოს მეთქი, გამოცნობას ვცდილობდი. ვიდრე მე მივიდოდი, მათ ორთა შორის თურმე ეს ლაპარაკია გამართული თათრულ ენაზე:

— თქვენ სადაური ბრძანდებით?

— ბათუმელი გახლავართ. ორი ქალიშვილი მყავს, თათრული სწავლა გაათავეს აქ და ეხლა ვცდილობ უმცროსი ფრანგთა სკოლაში მივაბარო, მინდა მათებური ყოფა-ქცევა მიიღოს და მათ სწავლაში გაიწუროს. საფრანგეთის საელჩოში ვიყავ და იქ მითხრეს, პატრი ანდრია ნახეთ, ის მოელაპარაკოს უმჯობესი იქნებაო და აი ადრესიც თქვენი იმათ მომცეს. ამასა გთხოვთ, როგორც თქვენს ნათლიანობას შეეფერება ისე დამეხმაროთ ელჩთან, ეგებ მიიღონ თავიანთ სკოლაში ჩემი ქალი, თითონ იმასაც ძლიერ უნდა ფრანგული სწავლა.

— რა გვარი ბრძანდებით?

— გურჯი მ. ხანუმ.

— თქვენ ქართველი ხართ? მაშ თქვენ ქართული გეცოდინებათ?

— დიახო და დაიწყეს ქართულად ლაპარაკი:

— ძლიერ კარგი, ქალბატონო; რაც კი შემიძლიან, დაგეხმარებით ელჩთან, მეც ის მიხარიან, რომ ქართველმა მეტი გაიგოს და იცოდეს.

ამ დროს შეველ მეც. ქართულად ჩაცმულ მანდილოსნის მაგიერ როგორც ძე მოლოდინი მქონდა, დავინახე თათრულად გამოწყობილი ქალი, პირზე ჩადრ ახსნილი, მშვენიერი შეხედულობისა თვალტანადობით. რაღა დიდი გამოცნობა უნდოდა, რომ მუსულმანი ქალი ვინმე იყო და მხოლოდ ის მიკვირდა, მუსულმანობაში თავის დღეში არა თქმულა, ქალი სხვაგან წავიდეს და უცნო პირთ დაელაპარაკოს, მერე მამა-კაცებს და ისიც ქრისტიანთ. ამ ნიადაგზე მუსულმანები სასიკვდილოთაც არ ინდობენ ჩვეულების დამარღვეველს და ეს ვინ უნდა იყოს ასეთი გამბედავი მეთქი. ამის მოულოდნელობით ხელის ჩამორთმევისა და ჩუმად დაჯდომის მეტი ვერაფერი მოვახერხე. პატრმა ანდრიამ ქართულად გაგვაცნო და იქიდან შევიტყე, რომ ქართულად მოლაპარაკე ქართველი მუსულმანი ქალი იყო. გამიხარდა მეტისმეტად, მაგრამ სიჩუმე კი დავიჭირე, არ ვიცოდი, რანაირია მუსულმანთა ქცევა. ისევ მან მომიყვანა გამორკვევაში: მისმა თამამად დალაპარაკებამ და სიყვარულიანმა გამოხედვამ დამარწმუნა, რომ იგი იყო მოსული არა როგორც უცხო ვინმე უცხოსთან, არამედ როგორც ერთი ვინმე დაბადებითგანვე ჩვენთაგანი. ორივე მხარემ ვიგრძენით, რომ აქამდე დაკარგულებმა ერთის ოჯახის შვილებმა ეხლა ერთმანეთის გზა ვიპოვეთ და ერთად შევიყარენით. აწი რაღა საჭირო იყო ფორმალისტობა. და-ძმათა შორის გზა მიეცა დაკავებულ გრძნობასა და ვუთხარი:

— პირველია ქართველ მუსულმან ქალთან ჩემი დალაპარაკება, ვნატრობდი და ამიხდა. აქ ბევრი გვხვდება გზაზე სიარულში, ლაპარაკზე გვეცნაურებიან, მაგრამ ჩვეულება რომ გიკრძალავთ, ხმის გაცემა ვერ გაგვიბედნია. ბევრჯელ დავტანჯულვართ ასე.

— ჩვენც ეგრე ვიტანჯვით—მომიგო:—და ქართველ ქალებს რომ ხვდებით, იგიც ვიცი, იმათში მეც ვიყავი, გაზეთში დაგიწერიათ.

— მაშ თქვენც შეგვხდით?—დავეკითხე.

— დიახ.

— სად?

— აია სოფიასთან; თქვენთან ერთი სხვა იყო, ლაპარაკობდით; ქართული რომ გავიგონე, გამიხარდა და შემოგხედეთ.

ჩავაკვირდი, მოვიგონე ის ამბავი, სწორედ ის არის, აპრილში რომ შევხვდი ახალ სულთნის პირველ სელამლიკზე და შენცა გწერდი. რამდენად გვენატრებოდა გაგება ამბავთა ქართველ მუსულმან დედების დაღანჯულ გულისა, იმდენად გამიხარდა ნახვა იმ ადამიანისა, რომლის პირველმა შეხვედრამ ჩემში მხოლოდ სიმწარე და გულის ტკივილი დასტოვა, რომ მშვიდობაც ვერა ვკითხე. ეხლა თითონ იგი მოვიდა ჩემთან, ქრისტიანებში გვესტუმრა მუსულმანი და, იგი არამც თუ თავიანთ ამბავს გვეტყვის, ჩვენს ამბავსაც წაიღებს, კვლავ გაიბმება მისით კავშირი ძმობისა ჩვენ შორის. მაშინვე ეს ვიფიქრე და ხელმეორედ წამოვუდეგ, სალამი მივეცი:

— მაშინ მარტო გამარჯვება გითხარით და დღეს ჩემი გულითადი პატივისცემა მიიღეთ. თუ რამ მინახავს სასიამოვნო, თქვენი ნახვა ყველაზე მეტია ჩემთვის. მიხარიან, რომ თქვენგან ამბავი აღარ მოგვაკლდება ჩვენის დამწყვდეულის დებისა.

— მე კიდევ ის მიხარიან, რომ ქართველ კაცსა ვხედავ და ჩემი ენა მეყურება ამ ქვეყანაში,—სთქვა მ. ხანუმმა და დაიწყო ტირილი. ტიროდა ხელსახოცში პირწაყოფილი ქვითინით და თან მოსთქვამდა. მოგვიკიდა ცეცხლი. მე ვანუგეშებდი: გავიბენით, მაგრა შეერთება ჩვენზეა მეთქი. და მე თითონ თვალებზე ცრემლი მომერია, პატრ ანდრიას სახე დაემწუხარა, ხმას ველარ იღებდა. მაინც ეს რა არის ჩვენს თავსა და რა ბედი დაგვმართვია?! მე წინად გაგონებით ვიცოდი მუსულმან ქართველთა არსებობა და წიგნებიდან ამოკითხული მქონდა მათი ძალად განყოფა და წაგლეჯა, მაგრამ შიგ რა დრამა ტრიალებს და რა განუსაზღვრელი ტანჯვაა, ამას ეხლა-ღა ვხედავ და ვხვდები. ერთმა აქეთ დაიჭირა თვალი, მეორემ იქით, შუა გაგვივლეს უფსკრული, გულში ესენი ჩვენ გვაკლიან და ჩვენ ამათ ვაკლივართ, ვგრძნობთ ამასა და ვერა გვიქნია-რა ძილ-დაწოლილივით, დედის გული ვერ ითმენს და სტირის. გაქრი ცხოვრებავ, თუ ამისთანა დარჩები და თუ ჩვენ ერთმანეთის თავი და ბედი სატირელი გვექნება! მაგრამ დაე, ამ ცრემლმა განბანოს ჩვენი წინანდელი შეცოდება გასამხნევებლად მომავლისა.

საიდან მოდის და საით მიდის ცრემლი, ნაწური თვალთაგან მ. ხანუმისა? მე თათრული მასწავლესო და თათრულს ვლაპარაკობ, მაგრამ ჩემი ენა ქართულია, იგი მეტკბილება. ქართულ ენაზე გავიცან მზე და მთვარე, როცა დედის ნანათი ჩემი აკვანი ირწეოდაო. მიყვარს საქართველო, მე იმის ხის ძირს ვენაცვალე, იმის კენჭი და კლდე მირჩევნია სხვისა ოქროს. ქართველები ჩემი ძმები არიან და მათთან მინდა ვიყო. მომწონს მათი ქცევა და ცხოვრება, ადამიანობა აქვთ, შებრალება იციან, მე იმათთანა სხვა არ მეგულება ქვეყანაზე. სხვებს არ ესმით ჩვენი გულის ამბავი და არც ვეწუხებით, შექმა უნდა ჩვენი მხოლოდ. განა ისინი კი კარგად არიან, ვინც აქ გადმოსახლდნენ: გასწით, მუჰაჯირებოო, აქ რას მოხვედით, ადგილი წყალი ჩვენი არა გვყოფნისო, ნანობენ ეხლა.

კაცი იტყვის შორიდან, აქ ტირილს რა ადგილი აქვს, რა უშლის ჩვენთან მოსვლასა და ერთობას, თუ გული გულობსო, მაგრამ ნამდვილად კი ამ სურვილსა და ლტოლვილებას წინ მაღალი კედელი აქვს აყუდებული. თუ გამაჰმადიანებულმა ქართველობამ თათარი დაირქვა. რასაკვირველია, იმასაც ეცდებოდა, რომ თათრული ჩვეულებაც შეეტანა თავის ოჯახში. ქალმა კი ამ ჩვეულებით თორმეტი წლიდან უნდა შეიკეროს ჩადრი და ვისთანაც გუშინ უმანკო გულით თამაშობდა, დღეს იმას უნდა გაექცეს და დაემალოს და ასე ნორჩობიდანვე უნდა შეეჩვიოს იმ აზრს, რომ იგია მხოლოდ საგანი მამაკაცთა გულის თქმისა და სხვა არაფერი, სხვა მხედველობა მაზედ არ არსებობს. შევა ქმრის ოჯახში და ეკარგება ყოველი უფლება: იგი ჰპოვებს იქ მხოლოდ ბატონს, რომელსაც მოუყვანია უკვე რამდენიმე ცოლი და ერთ ჭერ ქვეშ უნდა მოთავსდნენ სხვა და სხვა ნაირ მიმართულების პირნი. კაცს სამათა და ხუთად აქვს გაყოფილი გული და ქალიც რომ ჰხედავს, რომ მისი ქმარი სხვისი ქმარიც არის და ხშირად კვირა და თვე არ შეხვდება მასთან დალაპარაკება, ველარ დაუმყარებია ქმარზე სრული ქალური გული და სიყვარული, რჩება უამხანაგოდ და უსულიერ საზრდოდ, მგრძნობიარეობას არ ძლევა ფართო სიღრმე და სავალი, ზეზეურ მიდის ცხოვრება. მას ოჯახის საქმეში არაფერი ეკითხება, მისია მხოლოდ მორჩილება, დაჩივლებაც არ შეუძლიან თავის თავზე, რადგან თათრულ აზროვნებით იგია არა თანატოლი ამხანაგი, მასთან ერთი მოვალეობით შეერთებული, არამედ მისი შეძენილი სულიერი, რომელიც ადვილად მოუყვანია და ადვილათვე გადაგდებს ჩვარივით, თუ მოინდომა. აი, ეს აზროვნება გადაედვა მუსულმან ქართველობასაც და ეს ჩვეულება შეიტანა თავის ოჯახში. მანაც ეგრე ჩაამწყვდია ქალი სახლში და არა თუ ალარავისთან აჩენს, რომ უხსენო, ისიც კი ეწყინება, რადგან შიგ უბედურის აზრის მეტი ვერა დაუნახია. მოისპო ხალხში გამოსვლა და გარევა. ძმას კი როგორ დაერიდე-

წილეობით, თელავის საკრებულო დარბაზში დაიწყო იაფ-ფასიან წარმოდგენების მართვა. სხვათა შორის, ამას წინად წარმოადგინეს ცაგარლის „ხანუმა". სადხი ბლომად დაესწრო და წარმოდგენამაც კარგად ჩაიარა. ასევე იყო წინა წარმოდგენებზედაც. ჩვენდა სასიხარულოდ, ახალგაზრდა სცენის მოყვარეთ ნიჭი და ხალისი ეტყობათ. ამ წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ აწყურელს გარდა (რომელიც აგთოფას როლსასრულებდა) ქ-ნნი ბეჟანოვი, კარალიოვი, სიდამონიძე, მარქაროვი და ხირსელი; ბ-ნნი თეირანელი, ონიკაშვილი, კაკაბაძე და ნაპოლეონი. **იმ—ეხ.**

# უცხოეთი

**ირლანდიელების მეთაურები.**

როგორც გუშინა გვქონდა ნათქვამი, „დამოუკიდებელ ნაციონალისტების" მეთაური ვილიამ ობრაიენი დიდად ნიჭიერი, მაგრამ ამასთანავე მძულვარებით სავსე, ღვარძლიანი და უთხუნჯო კაცია. სულ სხვაა ამავე ჯგუფის მეორე მეთაური ტიმოთე ჰილი. იგი ნამდვილი მეფისტოფელია: შხამიანი, მოსწრებული, მხიარული და თან მეტად შინაარსიანი. ობრაიენიც შესანიშნავი ორატორია, მაგრამ იგი მეტად მკაცრი და მრისხანე, გაუცინარი ორატორია. იგი პირდაპირ ცეცხლს უკიდებს თავის მსხვერპლს. ჰილი—ოხუნჯი და მხიარულია. მისი გესლიანი დაცინვა ხშირად მთელს პარლამენტს ახარხარებს ხოლმე, ხოლო რაღა თქმა უნდა, იმათ კი არა დროს არ გაეცინებათ, ვისაც დასცინის ჰილი. ვილიამ ობრაიენი უფრო მარჯვედ მაშინ ლაპარაკობს, როდესაც თავის ლიტონისებურ, ცივის, მძულვარე ხმით ვისიმე „ღალატს" ააშკარავებს. ხოლო ჰილის უყვარს ხაფანგის დაგება, შიგ ჩატყუება თავის მოპირდაპირისა და მერე მისი სასაცილოდ აგდება. ამ ხაფანგების დაგებაში ჰილის ცალი არა ჰყავს პარლამენტში. აი ახლაც ლაპარაკობენ, რომ მან რაღაცა მარჯვე მახე დაუმხადა რედმონდს, რომელიც იძულებული იქნება გაება ამ მახეშიო. ხოლო თუ რედმონდი გაებმება ამ მახეში, იგი იძულებული იქნება აგრეთვე თავის პარტიას ხმა ბიუჯეტის წინააღმდეგ მიაცემინოს, და ამნაირად ასკვიტის სამინისტრო დაემხობა. ჰილი შენაარსიანი ორატორია. პარლამენტში იგი ითვლება საუკეთესო მცოდნედ ირლანდიის საადგილ-მამულო საქმეებისა.

ეხლა გავიცნოთ ნაციონალისტების პარტიის მეთაურები ინგლისურ ანდაზის წინააღმდეგ—ნაციონალისტების მეთაური რედმონდი ჟურნალისტი როდია, ხელობით ადვოკატი, რედმონდი 1881 წლიდანაა პარლამენტის წევრად. როცა პირველად აირჩიეს, იგი სულ 27 წლისა იყო. ნაციონალისტების უმეტესობასავით რედმონდიც პარნელის დროს გაიწრთვნა ბრძოლაში. 1900 წელს ნაციონალისტურ პარტიის ნამსხვრევმა მეთაურად რედმონდი აირჩია და მას აქეთ პარტიამ ხელახლად მოიპოვა ისეთი დიდი ძალა, როგორიც პარნელის დროს ჰქონდა. ვინც პირველად მიდის ინგლისის პარლამენტში, ძალა-უნებურად ყურადღებას აქცევს რედმონდს. მის სახეს ცხადად ამჩნევია დიდი ჭკუა, ძალა და გაბედულება. სახით იგი ჰგავს განსვენებულ „აფრიკელ ნაპოლეონს", სესილ როდს. ამ დღეებში გაზ. „ტაიმს"-მა დაბეჭდა ერთის კონსერვატორის წერილი სათაურით: „რედმონდი ორ ცეცხლ შუაა". კონსერვატორი-ავტორი ფარისევლურად სწუხდა, რომ ირლანდიელების საწყალ მეთაურს უთუოდ მოატყუებენ და გააცრუვებენ ლიბერალებიო. მაგრამ ეს ტყუილი შიშია. ყველა-ყველაა და წარმოსადგენადაც-კი ძნელია, რომ რედმონდმა პირლიობა გამოიჩინოს და რომ იგი ვინმემ მოატყუოს. რედმონდი მშვენიერი ორატორი და შესანიშნავი მოკამათეა; ამასთანავე იგი მეტად წინდახედული, გონიერი და გაბედული სტრატეგია. სრულ ათი წლის ბატონობის დროს კონსერვატორების პარტია ერთხელ დამარცხდა ძალზე. ეს დამარცხება რედმონდის უნარი იყო. რედმონდს დიდი გავლენა აქვს ირლანდიაში, თუ ოკეანეს გაღმა: ამერიკასა, ავსტრალიასა, ახალ ზელანდიაში, ერთის სიტყვით ყველგან, სადაც ირლანდიელები ცხოვრობენ. თანამემამულენი დიდის ნდობით უცქერიან მას. როგორც გამჭრიახე სტრატეგი, რომელიც ყველაზე მაღლა ირლანდიის ინტერესებს აყენებს, რედმონდმა ამ ჟამად როგორც სჩანს, მოლაპარაკება გამართა როგორც ლიბერალებთან, ისე კონსერვატორებთან. ნაციონალისტების პარტია ამ ჟამად მოგაგონებთ ირლანდიელ გლეხს, რომელსაც ქალაქში გასასყიდად მიუყვანია ღორი. ჭკვიანმა გლეხმა ხელად შეამჩნია, რომ მის მეტს არავისა ჰყავს გასასყიდი ღორი. იგი სარგებლობს ამით, ყველა მუშტარს ალაპარაკებს, მათ ფასს იგებს, რიგზე სწონის, ვისი ფასი უფრო ხეირიანია და ცდილობს ჭკუა არ წააგოს.

ნაციონალისტების პარტიას ჰყავს რამდენიმე მეტად ნიჭიერი და მცოდნე მწერალი, რომლებიც მეცნიერულად ასაბუთებენ ირლანდიის ერის მოთხოვნილებას. თავდაპირველად უნდა დავასახელოთ სვიფტ მაკონელი, რომელსაც უნივერსიტეტში ასკვიტთან ერთად უსწავლია. იგი პირდაპირი ჩამომავალია დიდებულ ირლანდიელ სატირიკოსის ჯონატან სვიფტის ძმისა. მის კალამს ეკუთვნის მრავალი საინტერესო გამოკვლევა ირლანდიის ძველ პარლამენტზე, ირლანდიის მრეწველობაზე და სხვა. ეხლა სვიფტი პროფესორადაა ირლანდიის პირველ უნივერსიტეტში, რომელიც შარშან დაარსდა.

ირლანდიელთა პარტიის პროგრამის შემუშავებაში დიდ მონაწილეობას იღებენ აგრეთვე ოკონორი და ჯონ დილონი. ოკონარი ნიჭიერი ჟურნალისტია და საუკეთესო ისტორიკოსი პარნელის დროის დიდ მოძრაობისა. მისი წიგნი „პარნელის დროის მოძრაობა" მრავალჯერ იყო გამოცემული. ჯონ დილონი—მარტო ჟურნალისტია. წარსულ საუკუნის გასულს იგი კინაღამ არ აირჩიეს პარტიის მეთაურად, იმ დროს დილონი და რედმონდი ერთმანეთს ეცილებოდნენ, მაგრამ დილონმა თავისი პირადი თავმოყვარეობა დაუმორჩილა საზოგადო საქმეს. ოკონორი და სვიფტ მაკნეილი ძლიერ მეგობრულად უცქერიან ლიბერალურ სამინისტროს. ბოლოს დროს ესენი ამტკიცებდნენ გაზეთებში, ირლანდიელებს თამამად შეუძლიანთ ლიბერალებთან მუშაობაო.

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ჟამად ირლანდიელ გლეხებს ისე როდილა ენატრებათ ჰომრული (ავტონომია), როგორც იმ დროს, როცა ჯერ მიწა არა ჰქონდათ გამოსყიდული. ეხლა ჰომრული უმთავრესად იტაცებს ქალაქის მცხოვრებლებს. სამაგიეროდ ირლანდიის ავტონომიას ეხლა ისეთი ელემენტები მოითხოვენ, რომლებიც წინად, როდესაც ჯერ მიწა გამოსყიდული არ იყო, გაბედულად და გადაჭრით ეწინააღმდეგებოდნენ ჰომრულს (მაგალითად ირლანდიელი მემამულეები, რომლებმაც უკვე გაყიდეს მიწები).

აი, ესეთია ის პარტია, რომელსაც ამ ჟამად ხელში უჭირავს ინგლისის პარლამენტის ბედი. („რ. ვ.")

---

ბა ქალი და ძმისწულთან კი მორიდებული უნდა იყოს, ბიძაშვილს ქმართან ვერ გაუცინებს, სხვებს ხომ სულ ვერ ეჩვენება. დაპატარავდა მისი წრე, ყოველმხრივ კედელი აღიმართა.

რანაირად შეხვდებოდა თავის ბედს ქართველი ქალი, შვილი სტუმართ-მოყვარე ერისა, დედაშვილობისა და დაძმობის აზრზე აღზრდილი, მიმდევარი ნათესაობისა შვიდ მუხლამდე? რას იტყოდა იგი, როცა რჯულმა ძალა დაატანა, ჩაიცვა უსახლებო კაბა, ჩამოიფარა პირზე ჩადრი, მზის სინათლიდან შეიკეტა სახლში და ბნელში დაჯდა, დაემალა არა თუ შორეულ სტუმარს, არამედ თვით მახლობელთ? რა თქმა უნდა, იგი წუთი იქნებოდა დიდი, მეტად დიდი მოვლენილი რისხვა ქართველ ქალის ცხოვრებაში, ბრძოლა განუცდელი არ დარჩებოდა იგი, მაგრამ ულონობისა გამო შედეგი იქნებოდა მხოლოდ სულის კვეთება იდუმალი და გულში ჩადებული უკმაყოფილება ბედის ცვლილებისა; და იგი სულიერი განწყობილება თაობიდან თაობამდე გადმოიტანა ორასი წლის აქეთ და დღეს მ. ხანუმის პირით გვეუბნება: ქალი რა არის, მეტირება, ჯოჯოხეთია ეს ქვეყანა ჩვენთვის. განა ქალი ისეთივე კაცი არ არის? თუ კი კაცია თავისუფალი და ხარობს წუთი სოფლითა, ქალს რაღად უნდა ჰქონდეს დაშლილი ძმებთან თავისუფლად გამოჩენა და მათთან გახარება კარგის გაგონებითა და კარგის ნახვით. ღმერთმა ხალხი ერთმანეთისთვის დაბადა და მზე და მთვარე ჩვენთვის გააჩინა სალხინოდ და სასიამოვნოდ, და თუ ჩვენ პირს დავიბნელებთ და ჩავიკეტებით, რით გავატაროთ ჩვენი მოწყენილი ცხოვრება, საფლავში ხომ არ ვიხდებით და იქ ვილაპარაკებთ! ქალს პირზე ჩადრს იმიტომ აფარებენ, რომ კაცმა არ შეხედოს და არ გაირყვნესო, მაგრამ თუ ქალი არ ვარგა, ჩადრი ვერ დაიფარავს და თუ სვინდისიანია, ჩადრი რათ უნდა, იგი თავის პატიოსნებას თითონ დაიცავს. მე იმიტომ მინდა თავისუფლება, რომ ჩემი სვინდისი შევინახო, მაშინ დაფასდება. რაღაა იმისთანა პატიოსნება, თუ ქალი იმიტომ ვერ ექცევა სიავეს, რომ შებოჭილია? თუ თვალითგან გაირიდა, მაშინ რაღა დაუშლის? არა, კაცმა თითონ უნდა იცოდეს თავისი ფასი და პატიოსნება. ამ სიტყვებით ჩვენი ქართველი ქალი. დიდ ფსიხოლოგიურ სიმართლესთან დიდ საყვედურს იძლევა. იგი თაკილობს, რომ მას არ ენდობიან და ზედ მეტი საზიდი ბარგი აჰკიდეს, ქვეყანას გამოაკლეს, უსამართლობას უსამართლობა შესძინეს! განა არ იყო უწინ და განა არ არის დღეს პირ ახდილი ქართველი ქალი, რას აშავებენ და რა დავუშავე მე? მე ჩემი თავის იმედი მაქვს, მე ჩემი თავი კაცად წარმომიდგენია! ეხლა კი დამცირებაო!

შენი მეგობარი **ფარსმან მაქევარი.**

(დასასრული იქნება)

---

# რუსეთი

**ახალი კანონ-პროექტი.** „კასპ"-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: ოქტომბრისტებს სახელმწიფო სათათბიროში შეაქვთ კანონ-პროექტი, რომლითაც სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის არჩევნების დროს ყველგან განსაკუთრებული წესები უნდა მოიხსნასო.

**ვარშავის უნივერსიტეტში.** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორებს და სტუდენტებს უთანხმოება მოსვლიათ. სტუდენტების ერთი ნაწილი ლექციებზედ აღარ დაიარება თურმე.

**კომისარჟევსკაია და ეპისკოპოსი გერმოგენი.** სატახტო ქალაქის გაზეთებს სარატოვიდან ატყობინებენ: სარატოვშიაც ჰოინდომეს პანაშვიდი გადაეხადნათ განსვენებულ არტისტ-ქალის, კომისარჟევსკაიას სულის მოსახსენებლად, მაგრამ ეპისკოპოსმა გერმოგენმა სამღვდელოებას აუკრძალა პანაშვიდის გადახდა. ეპისკოპოსი გერმოგენი ტაშკენტში ადგილობრივ ადმინისტრაციას შეეკითხა, შემატყობინეთ კომისარჟევსკაია მართლმადიდებელი იყო თუ არა და უკანასკნელად როდის ეზიარაო.

**გენერალ დუმბაძეს ბრძანება.** ამ დღეებში იალტის გენერალ-გუბერნატორს, გენერალ დუმბაძეს ბრძანება გამოუცია. თავის ბრძანებაში დუმბაძე ეხება ადგილობრივ ჯარის მოქმედებას და ქება-ხოტბას ასხამს ჯარის „გმირულ მოქმედებას". დუმბაძე, სხვათა შორის, სწერს: „შარშან, ჯარმა ერთი არამზადა მოჰკლა. არამზადას დაკრძალვას რამდენიმე ათასი მისთანავე არამზადა დაესწრო, მაგრამ საჭირო იყო ჯარის გამოჩენა, რომ ეს არამზადები დამფრთხალიყვნენ და თავისთვის ეშველათო". შემდეგ გენერალი იგონებს იმ დღეს, როდესაც მას ყუმბარა ესროლეს და სწერს, ამ დღეს ჯარი ისე იყო გაბრაზებული, რომ მზად იყო ქვა-ქვაზედ აღარ დაეყენებინა, მაგრამ მან, გენერალმა ნება მისცა დაენგრიათ მხოლოდ იმათი სახლი, საიდანაც ყუმბარა ისროლეს და სადაც რევოლიუციონერების ბუნაგი იყო.

**ეპისკოპოსი გერმოგენი.** „რეჩის" სიტყვით სარატოვის ეპისკოპოს გერმოგენს ეკლესიაში სიტყვა წარმოუთქვამს. გერმოგენს წყევლა-კრულვით მოუხსენებია „გარყვნილი, უმსგავსი და ურწმუნო ინტელიგენცია" და დამსწრეებისათვის ურჩევია, თეატრში ნუ დაიარებით, თორემ „დამნაშავეებს" წყევლა-კრულვას მივცემთ და ეკლესიიდან გავდევნითო.

◀ სამეურნეო ჟურნალი ▶

**მოსავალი**

**წელიწადი მეორე**

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ** მცენარეების **საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უ ფ ა ს ო დ.**

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали".

**გაზ. „დროების" კანტორა** აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელის მომწერმა კანტორას უნდა აცნობოს ხოლმე, რათა შემდეგისთვის ყურადღება მიექციოს გაზეთების წესიერად მიღებას.

ტფილისის ქალაქის

**გამგეობა**

ამით აუწყებს, რომ მის სადგომში 20 თებერვალს, შუადღის 12 საათისთვის დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა ქალაქის სასწორი სომხის ნერსესიან სემინარიის მამულის ეზოში, იარმუკაში.

პირობების გასინჯვა შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ქალაქის გამგეობის სადგომში 10-დან 2 საათამდე. (3—6—2)

**პირველი კავკასიის სარემონტო და შემკრები სახელოსნო**

**● ზომა და წონა ●**

ტელეფონი N 9. ყვირილის ქუჩა, იარალოვის და ამხ. ქარხნის პირდაპირ.

შევაკეთებთ, შევსწორ-შევასწორებთ და ვამზადებთ ნიშნებს (დაღის) დასადებად სასწორებსა და წონის ქვებს სხვა და სხვა სისტემებისას თანახმად ახალის კანონისა ზომათა და წონათა შესახებ.

ჩვენ თავზე ვიღებთ ნიშნების (დაღის) დასმის საქმეს სასამართლო კარავში. იყიდება სასწორები და საწონი ქვები სხვა და სხვა გვარისა.

◀ **ურმის სასწორები** ▶ (5—1031—)

—◀ სავაჭრო სახლი ▶—

**„ძმ. სესიევები და ამხ."**

აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ ჟამად მან გამოუშო გასასყიდად უმაღლესად დაწმენდილი, ფილტრაციის საშუალებით, ახლად შეკეთებულ და გაუმჯობესებულ აპპარატებით, რომელთაც

**პურის არაყი**

დაჯილდოვებულია 1909 წლის პარიზის გამოფენაზე **უმაღლესის საჩუქრებით**

● **ფირმა განსაკუთრებით ურჩევს მუშტარს:** ●

**პურის არაყი № 101.**

**პურის არაყი № 50.**

**ღ ვ ი ნ ი ს** და

**კახური არაყი, რომელიც არ დაუარდება კანიაკს.**

**მოითხოვეთ ყველგან.**

(10—გ.—4)

◀ **ქუთაისში ქირავდება** ▶

**სიცოცხლის წყაროს**

რესტორანის ბინა ბაღით. ქარვასლის ქუჩის ბოლოში თეთრ ხიდთან. გაქირავების პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება სახლის პატრონთან ეზოში ანუ მის რწმუნებულ ივანე ბარქაიასთან მაღაზიაში. (10—კვ.—6)

**გამოვიდა და იყიდება ახალი წიგნი კ. ვ. კანდელაკისა**

**კოოპერაცია**

(თეორია ისტორია და პრაქტიკა).

გამოცემა „შრომის" სტამბის ამხანაგობისა.

**შინაარსი:** რა არის კოოპერაცია, კოოპერაციის მიზანი, ისტორია, სხვა და სხვა გვარი კოოპერაცია: მომხმარებელი საზოგადოება. მწარმოებელი ამხანაგობანი, საკრედიტო კოოპერატივები. კოოპერაცია სოფლად. ანგარიში კოოპერატიულ დაწესებულებებში. მნიშვნელობა კოოპერაციისა. კოოპ. ჩვენში. **✦ წიგნის ფასი 35 კაპ. ✦**

ვინც ხუთ ცალზე მეტს დაიკვეთს დაეთმობა 25% დაკლებით. ერთი ცალის მსურველს ქალაქ გარეთ შეუძლია 35 კაპ. ღირებული საფოსტო მარკა გამოგზავნოს. გასაგზავნი არ გადახდება. ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, Типографія „Шрома" Василію К. Болквадзе. (10—ნ.—4)

**სანერგე ამერიკულ ვაზისა**

**„კლო-ეგურული" ქუთაისში.**

**● უდიდესი ასორტიმენტი რუსეთში ●**

1200 ამერიკული, ევროპიული და აზიური სასმელ და საჭმელ ყურძნის ჯიში და გიბრიდები.

**მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ განმარტებანი და პრეის-კურანტები.**

აქვე იღებენ ბავშვებს სამეურნეო მუშაობის შესასწავლად. (0—ნ.—25)

**პროვოდნიკის**

1897 წ. 1908 წ. 1888

ФАБРИЧ. КЛЕЙМО Р.Т.Ф. ПРОВОДНИКЪ РИГА

ПОСТАВЩИКЪ ДВОРА ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА

**ამხანაგობა**

**რიგაში**

საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

**● იყიდება ნარდად და ცალობით: ●**

**რეზინის, კანაფის და სხვა მილები სხვა და სხვა საქმისთვის,**

**რეზინის ტეხნიკური და ელექტრო-ტეხნიკური ნაწარმოები და ფოტოგრაფიის კუთვნილებები,**

**რქის რეზინისა და ებონიტის ნაწარმოებები,**

**იზოლაციონი და საკაბელო კუთვნილებები,**

**რეზინის საქირურგიო და სამკურნალო ნაწარმოებები,**

**რეზინის სათამაშოები და ბურთები,**

**რეზინის საგალანტერეინო საქონელი,**

**საშლელი რეზინი „სპილოს" მარკისას**

სტამბა „სინათლე" რუს-ის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ს. აგლაძე.**